საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება

ქ. თბილისი

N 1035-03
02/08/2024

„ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის სადოქტორო პროგრამებზე: ბიზნესის ადმინისტრირება, განათლების სადოქტორო პროგრამა და მათემატიკა 2024-2025 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისათვის მიღების გამოცხადების, რეგისტრაციის ვადებისა და პროცედურის შესახებ“ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 2024 წლის 5 ივლისის N927-03 ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ

სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 2024 წლის 5 ივლისის N927-03 ბრძანებით გამოცხადდა მიღება ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის სადოქტორო პროგრამებზე: ბიზნესის ადმინისტრირება, განათლების სადოქტორო პროგრამა და მათემატიკა. უნივერსიტეტში 2024 წლის 25 ივლისს შემოვიდა სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის MES 1 24 0000906032 წერილი, რომლის თანახმადაც შემუშავდა სადოქტორო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების დამატებითი კრიტერიუმები და ინდიკატორები. უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ მოქმედი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამები შესაბამისობაში უნდა მოიყვანოს სადოქტორო საფეხურის განათლების ჩარჩო დოკუმენტით დადგენილ კრიტერიუმებთან. ვინაიდან ახალი ჩარჩო დოკუმენტის მიხედვით ცვლილება ეხება რიგ საკითხებს, როგორიცაა სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსი, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და დოქტორანტის სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ხელმძღვანელობის საკითხი და აუცილებელია უნივერსიტეტში ჩარიცხვა განხორციელდეს კანონმდებლობასთან შესაბამისობით, მიზანშეწონილია ძალადაკარგულად გამოცხადდეს რექტორის 2024 წლის 5 ივლისის N927-03 ბრძანება.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის, ,,უმაღლესი განათლების შესახებ” საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №134/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის“ წესდების მე-18 მუხლის პირველი და მეექვსე პუნქტების, ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის დეკანის 2024 წლის 1 აგვისტოს N13549-35 სამსახურებრივი ბარათის, გათვალისწინებით,

ვბრძანებ

1. ძალადაკარგულად იქნას ცნობილი „ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის სადოქტორო პროგრამებზე: ბიზნესის ადმინისტრირება, განათლების სადოქტორო პროგრამა და მათემატიკა 2024-2025 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისათვის მიღების გამოცხადების, რეგისტრაციის ვადებისა და პროცედურის შესახებ“ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 2024 წლის 5 ივლისის N927-03 ბრძანება.
2. უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს დაევალოს, რექტორის 2024 წლის 5 ივლისის N927-03 ბრძანებით განსაზღვრული ინფორმაციის უნივერსიტეტის ვებ გვერდიდან აღება;

3. უნივერსიტეტის კანცელარიას დაევალოს, მიაწოდოს ამ ბრძანების ასლები ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტს, რექტორის აპარატს, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურსა და იურიდიულ სამსახურს.

ნინო დობორჯგინიძე

რექტორი